№ 172 19 მარიამობისთვე ქვირა, 1866—1879 19 მარიამობისთვე, ქვირა № 172

დროება

ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: ტფილისელებით ასოზე 1 კაპ. ბეჭდვითი ცალკერ თი — 5 კაპ., პატარათი — 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამზადებული სტატიები. დაბეჭდილი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადოვის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით—ხუთი მანეთი.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ვენა, 16 (28) აგვისტოს. გაზეთები გვაცნობებენ ბაშტეინიდამ, რომ გუშინ ღრაფი ანდრაში დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 4 საათამდი დარჩა ბისმარკთან. საღილს უკან ესენი ორიენ სასეიროთ წავიდნენ ეკიპაჟით.

ლონდონი, 16 (28) აგვისტოს. აქ იწერებიან ტელეგრამმით იოკაგამიდამ, რომ რუსის პარახოდი ნორდენშტიდი დაილუპა ნემორთან: ეკიპაჟი გადარჩომილა.

საქართველო

ღღიური

*** ჩვენ გვწერენ:

„ამ ახლო ხანებში, როგორც შეეიტყვეთ, სვანეთში უპოვნიათ არხეოლოგიისათვის ძვირფასი საგნები: თავადის თენგიზ დადიშკელიანის ცოლი გადაცვლილა და საყდარში, საფლავის მოთხრის დროს, აღმოჩენილა მრთელი მეტალის (ლითონის) კუბო. ეს ლითონი სპილენძის მსგავსი ჰყოფილა და კუბო ძველი ნივთებით სავსე ყოფილა. იმ ღამეს უყარაულოთ გაუშვიათ და მეორეს დღეს რომ მისულან, ვეღარ უნახავთ; ამბობენ, ვითომც მოუპარავთო. ახლა ამაზე დიდი ძიება არის. როგორც ამბობენ, კუბო ზედწარწერით სულ მოფენილია თურმე.

საჭიროა, რომ ამ ძვირ ფასს აღმოჩენას ყურადღება მიაქციოს ქუთაისის გუბერნიის მთავრობამ და აგრეთვე ადგილობრივმა მთავრობამაც. ცხადია, რომ სვანეთიდამ მალე ვერსად გააპარებენ უგზოობისა გამო და იქვე სადმე ადვილად მოსანახველია. თუ მალე ღონისძიება არ მიიღეს, დაამტვრევენ და სულ გააქრობენ“

*** ზოთიდამ გვწერენ: „აქ ძალიან გახშირებულია ქურდობა; დღეში რომ სამი-ოთხი ცხენი, ძროხა, ან ხარი არ დაიკარგოს, შეუძლებელია. ამ ქურდობას მცხოვრებლები აბრალებენ ლინეინი ყაზახ-რუსების გადაყვანას და ამათ მაგიერ ვსადნიკების გადმოყვანას. ესენი იპარამენ პირუტყვებს დღე და ღამე.

„აქ გაჩნდა პირუტყვების ჭირი, რომელიც დაუზოგავათ ჰხოცავს და აცლის ხელიდამ მცხოვრებლებს საქონლებს! ერთი სიტყვით, ცალკე ქურდობამ და ცალკე ჭირმა ლამის სულ გაანადგუროს აქეთკენ შინაური ცხოველები!

ამ ქურდობის მიზეზი ისიც უნდა იყვეს, რომ აქაურ ქუჩებში სრულიად არ მოიძებნება ერთი უბრალო ფარანი, რომ კაცს ღამე გზა გაუნათოს“,

*** ჩვენ მიეიღეთ შორაპნიდამ შემდეგი წერილი:

„ამ თვის 9-ს წავიდნენ სამი მამაშვილი მთაში შეშის მოსაჭრელად. მამა უქეიფოთ შექნილიყო და ისევ შინ დაბრუნებულიყო; ორი შვილი, ერთი

ფელეტონი

ახალციხური ფელეტონი

(ბაგრძელება)

საბა ურბელიანის სამშობლო მამულისათვის თავ-განწირულების აღსასრული ეს იქმნა, რომ სჯული აგინეს, გააუპატიურეს და განაგდეს თავიანთგან. იმ დროს მოვიდა სპარსეთიდგან მეფე ვახტანგი, დიდად გაუწყრა გამაუპატიურებელთა; თ. საბას ისევე თავის ღირსება მოუბრუნა, მაგრამ რა სარგებელი, გამგონი და ჩამხდომი ვინ იყო?.. ეს ღონისძიებაც რომ არ გაუმართლდა მეფე ვახტანგს, წავიდა რუსეთში, თან გაჰყვა თ. საბა ურბელიანიცა, მოსკოვში ყოველი საშვალება იხმარა რუს ხელმწიფესთან შემწეობისათვის; რა არ იქმნა, საბა იქ დასტოვა მწუხარე და თვითან ასტარხანს გადმოვიდა; მრავალი ნაღველისა და მწუხარებისაგან ვეღარ გაუძლო ჭირს და გარდაიცვალა აქ 1737 წ. ესვე გზა-კვალი სცადა ანტონ ქათალიკოზმაც საქართველოს დასაწინაურებლად 1755 წ., გარნა ის მოიგო, რომ თვითან რუსეთში ექსორია იქმნა და ქაფუჩინის პატრები განიდევნენ საქართველოდგან!.. თუმც ყოველი ძალ-ღონის მოკლების შემდგომ საქართველოსი მოჰკიდა ხელი მამობრივის მოწყალებით რუს-ხელმწიფემ და დაიფარა თავის ძლიერ ფრთებ ქვეშ ყოველნაირის თარხნობით და შემწეობის მიცემით დღემდის, მაგრამ ჩვენი სასულიეროება ისე საშინლად უკან წავიდა და დაეცა, რომ დღეს ფროთესტანტის ღვთის მეტყველი პასტორები სამადლოდ სამღვთო წერილებს უბეჭდვენ ნაწილ-ნაწილად, დღეს ასე გახლავსთ და ხვალ რა დაიბადება ამისთანებისაგან, იმას კი არავინ არ ფიქრობს!..

1722 წ. ირაგ-ავღანი განუდგა პარსის შაჰ სულეიმანსა, მრავალი ომბრძოლის შემდგომ დაიმონავა ბიორგი ქართველის მოთავობითა და იგივე დაუდგინა მათ მთავარ მმართველად ყანდაარსა, რომელიც მიქცეულ იყო ძათ სარწმუნოებაზედა; გარნა განდგომილთ თავმა მირვეიზმა მოჰკლა ბიორგი ღალატობითა. 1744 წ. დაჯდა ახალციხის ფაშად ია ააყ აჯი ფაშა; ამან აღაშენა ახლანდელი ციხის სობორო აიასოფის ფორმაზედ.

რადგან საუცხოო ძვირფასი ღირსებულებისა იყო, სცნა ხვანთქარმან და ინება იმ მარმარილოს ქვით აშენება ქოსტანდინეპოლის ნურ ოსმანიანის მიზგიფრა, რომელიც სამაგალითოა სტამბოლის მთელ მიზგითებში თუ არხიეკტორობით თუ სისუფთავით, გარნა ჰაჯი-ფაშას ბიუფანიერება ის ქარხანა, რომ საზოგადოებას ძალა არ მოსვლოდა იმ დროს ჩვეულებრივის ბეგარისაგან; მოუხსენებია: ჩემი მიზგითის მეჭრაბის მარმარილო ეკლესიებშივე აღმოჩნდა და არა ასსბანის მთაშო.

ზოგი აქეთგან, ზოგი სხვა მიზეზებითგან ჯავრი ჩაუტანია ხონთქარს და სდომებია ჰაჯი-ფაშის გამოცვლა; მაშინ

15-ისა და მეორე 9 წლისა, მთაში დაეტოვებინა და დაებარებინა, რომ სალამოს შინ წამოსულიყვნენ. მამის წასვლის შემდეგ უმცროს ყმაწვილს ხის ძირში დასძინებოდა. მათ ზევით თურმე სხვები მუშაობდნენ და ხის დიდ მორებს აგორებდნენ ზევიდან გზაზე. იმათ თურმე არ იცოდნენ, თუ ყმაწვილს ხის ძირში ეძინა და გადმოგდებული ხის მორი დაეჯახა ამ ყმაწვილს და იმავე წამს სული განთხვევინა. იმ სალამოს ყმაწვილის მშობლებმა გაიგეს ესა და მკვდარი ბავში მოიყვანეს შინ.

ყმაწვილი მესამე დღეს დაასაფლავეს*!

*** ჩვენ შემოგვჩივის ბათუმიდამ ერთი, ჩვენი გაზეთის ხელის-მომწერელი და გვთხოვს დავბეჭდოთ გაზეთში შემდეგი:

„უ. რ.! თქვენი გაზეთის ნომრები მე ყოველ კვირაობით მაკლდება ერთი, ან ორი, როდესაც რომ სხვებს ყოველთვის სრულად მოსდისთ! რა არის ამის მიზეზი არ ვიცი! მე ვფიქრობ, რომ თქვენგან მუდამ დროზედ და უკლებათ უნდა მეგზავნებოდეს ისრე, როგორც სხვებს; მაგრამ აქაური ფოჩტის მოსამსახურეები მაკლებენ იმ ფიქრით, რომ მითამ რას მიხვდები, რომელი № დამაკლდება და რომელი არა და ამ იმედით გადასცემენ ჩემს ნომრებს კერძო პირებს წასაკითხავათ და მერე სულაც დაიკარგება. (*)

(*) ჩვენ ჩვენი მხრით უნდა გამოვაცხადოთ, რომ ამ წერილის მომწერის ნომრები ყოველთვის იგზავნება ფოჩტაში. ზედ მიწევნით ვიცით, ერთი დღე არ გვახსოვს, რომ ამისი ნომერი დავვაკლოს.

რედ.

„დროების“ კორრესპონდენცია

ბათუმი, 27 ივლისს. გავლილ კვირა სალამოს, 22 ამ თვეს, ჩვენს ბათუმს ეწვია კავკაზიის დიდი მთავარი მიხაილ ნიკოლოზის ძე!

ეს სასიამოვნო ამბავი რამოდენიმე დღის წინათ შეგვატყობინა ტელეგრამებმა. ამის წყალობით აღირსეს ჩვენ ქუჩიან ბათუმის ქუჩებს გასუფთავება!

წარმოიდგინეთ, ბევრ საჭიროებას მოკლებული ხალხი და მისი დამხსნელის მოლოდინი, ხალხის აღტაცება და სიხარული!...

ქალაქი იყო სუფთათ და ვაჩაღებული ნაირ-ნაირი ფერის ფარნებითა და ზეთის ხილის შტოებითა; ამათ გარდა რამოდენიმე ადგილას გამოფენილი იყო სურათები დიდი მთავარის სახელით...

მაგრამ მათი მობძანების დღიდგან წაბრძანების დღემდი გადუღებელმა ავდრებმა და ხშირმა დიდმა წვიმებმა ყველა ჩაგვაშხამა და თითქმის მეოთხედიც არ მოხერხდა, რისაც განზრახვა იყო და ფარნების სინათლეებიც კი ჩაგვექრო!..

დიდმა მთავარმა მეორე დღეს, ორშაფათს დილით ინება ხმელეთზე გამობრძანება, სადაც დაუხვდნენ ბათუმის წარჩინებული პირები, მთელი მცხოვრებლები და მაზრის დეპუტაცია.

გამობძანებისათანავე ინება საჭირო პირების გაცნობა და შემდგომ თხოვნების მიღება; სხვათა შორის, მიიღო თხოვნა იმ უბედური ბედისაგან დაჩაგრული აფხაზებისაგან, რომლებიც ჭიანჭველებივით ფეხ ქვეშ ისრისებიან.

მე არ შემიძლია ის უბედური სურათი აგიწეროთ, როდესაც ისინი გროვდებიან დიდი მთავრების მობრძანების დროს თხოვნის მისართმევათ, რათა მათთვის მიიღონ წყალობა და უკანასკნელათ, სიკვდილის დღეში მათ სამშობლოს ხის ქვეშ წოლა აღირსონ!..

რამდენათაც ჩვენს ბათუმს აცხოვლებს რომელიმე გამოჩენილი მთავრის მობრძანება, იმდენათ იმ უბედური სურათის დანახვა უკლავს ადამიანს გულს, როდესაც ნახავთ: გამხმარს, გაყვითლებულს, თავ-ღიას, ფეხ-შიშველას და ძველ ძონძებში გახვეულს აფხაზებს!

დიდმა მთავარმა თხოვნის, და იმ სამწუხარო და საბრალო სურათის თვალის გადავლებით, როდესაც ყმაწვილებით ხელში დედაკაცები მათ ფეხ ქვეშ დავარდნილები და ჩაცვივნული თვალები ზეცისაკენ აღებული დაინახა, ინება მაღალ სულგრძელობით ბრძანება, რომ მიეცემათ ნება თავიანთ სამშობლოში დაბრუნებისა.

უბედურებს, გამგონეებს ამ მოწყალებისას, გაყვითლებულ სახეზე და მალხაზ ჩაცვინულ თვალებზე სიცილის სხივმა გარდაუარათ. ისინი "ალლახ! ალლახის" ძახილით ფეხზე დგებოდნენ და ძირს ეცემოდნენ თაყვანების ნიშნათ. ამ სურათს არა თუ ჩემისთანა მბლაჯავი, თვით გამოჩენილი მხატვარიც რომ ჰყოფილიყო, ვერ დაგიხატავდათ!

ბოლოს როგორც დამსწრე დეპუტაციას, ეგრეთვე ხალხს, სხვათა შორის, გამოუცხადა, რომ წარსული ომი რუსეთს და ოსმალეთს შორის მოსპობილია და ისე უნდა ემსახურონ მორჩილათ რუსეთის მთავრობას როგორათაც უმსახურნიათ ოსმანლოს მთავრობისათვის. ჩვენ მოგვხსენდა, რომ ის გავრცელებული ხმა ჩვენში, ვითომც რუსეთის მთავრობა ჩვენს ჯარს (სალდათს) მოგთხოვსო, ტყუილი ხმა არისო, რუსეთს თქვენგან ჯარის მოთხოვნა არ განუზრახავსო. მხოლოთ თქვენი ქვეყნის და ხალხის სასარგებლოთ საჭიროების დროს იქმნებიან გამოყვანილები მარტო მილიციაო.

ამის სიძე სოლოლა, გვარად კოპაძე, წასულა ხვანთქართან თავის სიმამრის წერილით ფაშობის გასაახლებლად; მიუღია ხვანთქარს პატივით, რადგან ნასმენი ჰქონია მისი განთქმულობა მკლავ-მაგრობაში, გაუყვანია საცდელად თავის სახელოვან მოჯირითე არაბზედ; აქ ჯირითის სროლაში შემოაკვდება არაბი სოლოლასა ხელში, ხონთქარი სიმხნის გამო პირ-და-პირ სოლოლას მიანიჭებს ფაშობასა, გარნა ის სიმდაბლით თავს ულირსად აჩვენებს და ასე სიმამრს ხელმეორ ფაშობას უკან დაუბრუნებს... საკვირველი მაგალითები დაშთენილა მისი მკლავ-მაგრობისა: გრაკლას ჯირითი ჰქონია მკლავის სიმსხო; ერთ დღეს ციხის მილმა წყლის პირითგან მკლავ გახსნილი შეისვრის ჰაერში იჩყალას თავს გადუორჩინებს და ციხის ზედა კართან დაეცემა; სხვა დროს უნაგრიან ცხენს შემოჰკრამს, რომ რკინის უზანგები უნაგირზედ ყოფილა გადაჯვარედინებული; მოხვდება რკინის უზანგს თუ არა, გაჰგლეჯს და ნახევარ რკინას თან წაიღებს. ერთხელაც ახალციხის ციხის იჩყალითგან გაუსროლია ჯირითი და თურბაზედ დაცემულა, სხეილისს ხიდის აქეთ, 2 ვერსზედ მეტია. ამას გამოსჩენია მოპირ-და-პირე და მისგან უფრო მკლავ მაგარი ეთერაშვილი; ახალგაზდა ენიჩრებს მიუყვანიან მისას საქეიფოდ; რომ შეზარხოშებულან, ენიჩრებს სოლოლას უნებურად აუწევიან ეს ყმაწვილი კაცი და ფანჯრითგან გარდაუგდიათ დიდ სიმაღლეზედ, სადაც საბრალოს სულიც არ ჩაჰყოლია. თუმც განრისხებულ სოლოლასა ორი ენიჩარი თითო მჯიღის გარდაკვრით იქვე მიუძინებია საუკუნოდ, მაგრამ რა სარგებელი? მის დედ-მამას იმის მეტიც არა ჰყოლიათ. ეს სოლოლა მეტად ქველი ყოფილა და მწყალობელი ქრისტიანეთა.

ისააყა-ჰაჯის დროთგანვე მეფდება ჩვენი გმირი. ერეკლე ქართლზედ; ის დაუყენებს მეტყვევე მოთარეშე ლეკებს და ოსმალებს სურუხსა.

1751 წ., როცა იბრაიმ-შაჰი მოიკლა სპარსეთს, დიდებულთ იწყეს დიდის ანღერეულობის მოხდენა, განდგნენ ცალცალკე: ხან ერთ ტომისას ამეფებდნენ, ხან მეორე ტომისას; ამგვარ ერთ-ძეორის წყვეტა-ქლეტაში, გაძლიერდა აზატხანი; გაიმრავლა ჯარი ავღანებითგან, დაიდგინა სარდლად ბეჰნამხანი ქართველი და იწყო ქვეყნის პყრობლობა. ჯერ თავრიზი აიღო ძლიერის ომით, მერმე შეება ნახჩევნის ჰეიდარ-ხანს, და მოჰკლა ისრე, როგორც თავრიზის ხანი ბეჰნას ხანმან და თვითან დაიჭირა ნახჩევანიცა აზატ ხანის მფარველობაში, სადაც სომხობა და ქრისტიანობა დიდ თავისუფლებაში მისცა სოფელ-ქალაქსა; აგრეთვე დაამარცხა ნალი ხანი. ასე რომ ძლიერდებოდა აზატ ხანი საქართველოს გარე; შეეხო მერმე საქართველოსაცა, მაგრამ თეიმურაზ მეფის ძე, მეფე ერეკლე წინაალუდგა; ამათ შესარიგებლად იშუამავლა ბეჰნამ ხანმა და კიდევაც შეარიგა; გარნა აზატ-ხანი არ დადგა თავის პირობაზედ, ჩვეულებრივი ცვალადობით ცუღლუტობას თავს არ ანებებდა!

ამ დროს მოისმა დიდი სიხარული და მადლობის ძახილს ხალხში სამზღვარი არა ჰქონდა.

დიდმა მთავარმა მისცა ნება, ვისაც რაიმე სათხოვარი ჰქონდათ, მოეხსენებინათ. ამ დროს ერთმა-ორმა ბეგთნაგამა მოინდომეს სიტყვის თქმა, მაგრამ, საუბედუროთ, ვერაფერი მოახერხეს და რაც ჰქონდათ დამზადებული სათქმელათ, ისიც დაავიწყდათ.

ნათქვამია: „საწყალი რომ ღვთის გაჩენილი იყოს, საწყალი არ იქნებაო.“ აბა რა დროს პირის შეკვრა იყო, შენი ჭირიმე!...

მეუბნებოდნენ, ვითომც ყველასათვის ეთქვასთ, რომ „არაფინ არაფრის თქმა არ გაბედოთო და არაფერი მოახსენოთო!“ მაგრამ ეს რა დასაჯერებელია, თქვენი ჭირიმე?!

ჩვენ სრულებით ეჭვი არა გვაქვს, რომ ხალხის და იმის გარემოების ასე დაახლოვებით გაცნობის შემდგომ ჩვენი უმაღლესი მთავრობა თავისი შორ მჭვრეტელობით გამოიცნობს ყველა იმ აუხსნელ სიტყვებს, რაც უთქმელად კბილებს უკან დარჩათ!.

თუმც ჩვენში ხმა არის გავრცელებული, რომ, ვითომც ჩვენი მთავრობის მიზანი ის იყოს, რომ: „ამისთანა თავის ქერქში გაუჩერებელი ხალხი ერთი დღით ადრე მოიცილონ თავიდან და არავის მისცენ დარჩენისათვის განზრახვის საშუალება; რადგანაც, ვითომც, ესენი მცხოვრებლებისათვის და მთავრობის მყუდროებისათვის ამაშფოთებლები იყვნენ და სახემოწიფო სარგებლობაც ასე თხოულობდეს, რომ იმათ ასე მოეპყრან, რომ, რაც შეიძლება, მალე და ყველა გადასახლებული იყვნენ.

მაგრამ რომ ყველა ეს არები უსაფუძლონი არიან, ამის ასახსნელად ძრიელ შორს წასვლა არ არის საჭირო!

მოვიგონოთ 1812 და 1854 წლის და, თუ გნებავთ ამუკანასკნელი 1877 წლის ომებიც. ყველა ამ ომების დროს სამზღვრებზე გაცილება და სამზღვრების დაცვა რა ფასათ უჯდებოდა ჩვენ მთავრობას; მოვიგონოთ ისიც, რომ ამ საქმეებში უმთავრეს როლის თამაშობდნენ ჩვენი ის მოძმე გამაჰმადიანებული ქართველები, რომლებიც ოსმანლოების მოსყიდვით ერთ დროინდელი ქრისტიანები—იყვნენ მაჰმადიანების დაცვი ათვის ქრისტიანების წინაალმდეგ შეურყეველი ციხეთ და მახვილ იარაღათ. ის ხომ ყველასათვის ცხადია, რომ სხვის სამშობლოში სხვას არ შეუძლია იმ სარგებლობის მოტანა, რა სარგებლობასაც მოიტანს თვით იმ მამულის შვილი!.

მაშასადამე, ძრიელ უსაფუძვლო იქმნება ყველა ის ჭორები, რომ ჩვენი მთავრობის მიზანი იყოს, რომ იმათ გადასახლების მიზეზი მისცეს!?

დარწმუნებული იყავით, რომ თუ ერთხელვე შევიძელი ამათი ჩვენთან რწმუნების და ერთგულების დამსახურება და გავაგებინეთ ჩვენი მათთან ერთობის კავშირი, მაშინ ესენი იქმნებიან ერთი უპირველესთაგანნი, გამოსადეგი ხალხი, და მაშინ აღარ იქმნება საჭირო სამზღვრების შესამაგრებლათ და დასაცველათ იმდენი ჯარი, რამდენიც ყველა წარსული ომების დროს ერთი თვის სავალი გზიდან მოჰყავდა ჩვენს მთავრობას!

ბადაულღებელი წვიმების მიზეზით დიდმა მთავარმა მარტო სამხედრო ნაწილის დათვალიერება და გავლილ ომში მონაწილეობის მიმღებლების ღირსეულათ დაჯილდოება ინება.

მეორე და მესამე დღეს გაბედნიერა ყოველივე გვარის ხალხი, იმათ სალოცავებში მიბრძანებით და სიტყვის თქმით

ამათში მიპატიჟებული იყო გენერალ კომაროვის სასახლეში ართვინიდან ჩამოსული სომხის კათოლიკების ეპისკოპოზი ზაქარიანი, რომლისათვისაც, რომ გახსნა და ჯამაგირის მიცემა დაჰპირდება.

მაჰმადიანები დიდის ამბით დახვდნენ თავიანთ დიდ მეჩეთში „ვალიდე სულთანში“. ჩვეულებრივი ლოცვის შემდგომ, ლოცულობდნენ რუსეთის ძლიერებისათვის და მათი ბედნიერი მომავალისათვის. შემდგომ პარაკლისისა დიდმა მთავარმა იმათაც დახელმეორებით გამოუცხადა იგივე სიტყვა, რომ რუს—ოსმანლოში ყოველივე წარსული უთანხმოება მოსპობილია და ეხლა ისინი ითვლებიან რუსეთის ქვეშევრდომებათ. შემდგომ გამოიხმო აჭარის და მაჭახელის დეპუტაცია, რომლებსაც აუხსნა, რომ არ ბრძანდება დიდათ მადლობელი მათი მოქმედებისა და იმედს იქონიებს, რომ იმისთანები აღარ იქმნება შემდეგში, წინაალმდეგ შემთხვევაში ისინი იქმნებიან დიდ პასუხის გებაში მიცემულნი!

ყოველივე ამითი, დიდით პატარამდი ხალხის მიღება ასეთის მამობრივის ლმობიერებით, ხალხი ისეთ აღტაცებაში იყო, რომ ამბობდნენ: „რა ბედნიერნი ვიქმნებით, ხემწიფევ, რომ ჩვენმა ნაჩალნიკებმა მაგის ნახევრათ მიგვიღონო!

თუმცა ცუდი ამინდები უშლიდნენ, მაგრამ ოთხი დღის განმავლობაში დიდმა მთავარმა ჩვენი ბათუმის თითქმის მთელი არე-მარე და შესანიშნავი ადგილები დაათვალიერა. სიამოვნებით ვტყობულობთ, რომ ძრიელ მოსწონებია აქაური მდებარეობა!

თუმც დიდი მთავარი ოთხი დღის სტუმრობით არ მობრძანებულა, მაგრამ ზღვის დიდი ღელვის გამო, პარახოდებმა ვერ შესძლეს ფოთში მიდგომა და ამისათვის ჩვენდა, ბათუმელების, საბედნიეროთ, დაუნახავს საჭიროთ და აქედანვე მიუწერია პეტერბურგში ბათუმიდამ სახაროთ რკინის გზის გაყვანა და შეერთება ფოთი-თბილისის რკინის გზასთან.

კრაზანა.

ამ დროს მოინდომა პიროპის წინაალმდეგ ერევნისი აღება თუ არა, ზენნამ-ხანი ცოლ-შვილით თეიმურაზ მეფეს შეეწყნარა, 1752 წ. მის მაგიერ დაადგინა სარდლად მალხუტ-ხანი ძმა ჰეიდარისა ნახჩევანს, მერმე მივიდა ერეკანზედ, დაუდვა დიდი ომი ერეკლესა, გარნა სიძლიერით უკან აქცია ერეკლე მეფემ ნახჩევანსვე. ქართველნი უკან რომ აღარ დაედევნენ, აიკლო, ააოხრა იქაურობა და აგულისა. ასე დაიჭირა მრავალი ადგილები, შევიდა სპარსეთში და დაიჭირა ასპაანი; ამას შეება ქერიმინანი; თუმც პირველში აჯობა, გარნა მერმე ისევ აზატ-ხანს გაემარჯვა; კვალად შეება ურფო ძლიერად ქერიმ-ხანი და როგორც იყო გამოსდევნა. რა სცნა აზატ-ხანმან ურმიის დაჭერა ჰასან-ხანისაგან, გამოეშურა შესაბმელად, გარნა პირველ წყობისავე დამარცხებული განსდევნა ჰასან-ხანმა აზატ-ხანი ქვემო კავკასიისკენ, მაგრამ აზატ-ხანმა თავისი სიმხნე არ მოიშალა: 1754 წ. ვამოილაშქრა მეფე ერეკლემ აზატ-ხანზედ კასპიისაკენ, მაშინ მოუქცია სგვა გზით და ისევ შეიდა ასპაანში დაედევნა, ჰასან-ხანი გააქცია ბაღდადისაკენ, იქითგან შემოვიდა 2000 კაცით ბაღესში თუ არა დაიჭირა ერეკლე მეფემ და მისცა ქერიმ-ხანს ამ პირობით, რომ არ უნდა მოეკლა, 1757 წ. მართლა სიკვდილამდის გვერდით იახლა და ასე მორჩნენ ქვეყნის ამრევ-დამრევე კაცსა!

ეს ლექსი აზატ-ხანის ერევანს მისვლაზე თქმულა.

ალაშენა ერევანი, შიდ განჯის კარი
გაიღო,
აზატ-ხანმან მოაშურა, ჩუმად სრულ
ხმა, არ გაიღო,
ეს რომ შეიტყო ერეკლემ, ცხენს შეჯდა, ხმალი აიღო,
მსუბუქის ჯარით წავიდა, ჯაბა[illegible]ნა არ
წაიღო!
ავიდა მაღალს მთაზედა, ზედიზედ ხანი
მდგარ იყო,
ერთი ლევანდის უფროსი ოქროს უნაგირს მჯდარ იყო,
ჩვენმა ჯარმან შეუტია, ლაშქარი შუა
გაიყო,
ჯარი გარ-შემოეფანტა, ქროთამი ყველაზედ გაიღო,
ას-ორასი ზარბაზანი სრულ მოკაზმული
მზა იყო.
ერეკლემ ცხენს შეუტია, ხევს გაადინა
ჩქაფარი,
ხევ-ღელე ლეშით აივსო, ცხენს შეუღება ფაფარი,
ამ ხანსა შემოუთვლია: ერეკლე რა კაციაო,
რა მოგახსენო, ბატონო, ყმაწვილია პაწიაო!
ბული უდგია ალმარი, გარედგან სალი
კლდეაო,
ასრე დაანგრევს ციხესა, როგორც ფუტური ხეაო!

ვინმე მესხი-

ახალციხე, 20 ივლისს.

განცხადებანი

საუმაწვილო ბაღი
და
ელემენტარული შკოლა.

სოლოლაკზედ, ველიამინოვის ქუჩაზედ, თ. ამატუნის სახლებში.

მიღება და ეკზამენები მოსწავლე ქალ-ვაჟთა დაიწყება 20 აგვისტოს; სწავლა დაიწყება 3 სექტემბერს 1879 წ.

საუმაწვილო ბაღში მიიღებიან ბავშვები ორივე სქესისა, რომელნიც წლოვანებით 4-დამ 7 წლისანი იქნებიან, შკოლაში კი—7 წლიდამ 14 წლამდი.

ამ შკოლაში კურსის შესრულების შემდეგ შეუძლიანთ შეავიდნენ ყველა სასწავლებლების 1, და 2 კლასებში!

(6—2)

ამ თვის ბოლომდინ ეაჭრობის მოსპობის გამო **საკვირველათ იაფათ ისყიდება**: კაცისა, ქალისა და უმაწვილების ფეხთ-საცმელები, ლაიკის პერჩატკები—წყ. 75 კ. სტოლის დანები, ალბომები, ქალის ნესესერები, ჩუკუნისა და ბრონძის შამდნები, ყავადნები, დუხები, ოდეკალონები, პუდრები, ხელის საპნები და სხვა ამ გვარი საქონელი.

ვარანცოვის პამიატნიკთან, ალიბეგოვის მაღაზიაში.

(1—1)

„ივერიის“ რედაქცია აცხადებს, როგორც ეს ნახევარი წლის ჟურნალი მიიღოს ივლისიდამ, შეუძლია დაიბაროს შემდეგის პირობით:

თფილისში მცხოვრებლებს 5 მ. 50 კ.
გარეშე მცხოვრებლებს — 6 მ. 50 კ.

ვისაც 1 ნომრიდამ უნდა მიიღოს მთელი წლის ნომრები, ამ პირობით დაიბაროს:

თფილისში მცხოვრებლებს 11 მ.
გარეშე მცხოვრებლებს — 12 მ.

ადრესი: თფილისი, სოლოლაკი, ქონსულის ქუჩა № 4 და ჩარკვიანის წიგნის მაღაზია.

გამოვიდა და ისყიდება
სახალხო საეკლესიო წიგნი
კარაბადინი

შედგენილი
მღ. დავით ღამბაშიძისაგან.
გამოცემა პირველი.

ფასი გაგზავნით უყდოთ ერთი მანეთი, ყდით ექვსი აბაზი.

წიგნის ყიდვა შეიძლება:

თ ფ ი ლ ი ს შ ი — ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

ქ უ თ ა ი ს შ ი—სიმონ ცერეაძის მაღაზიაში (გიმნაზიის მახლობლად).

ა ხ ა ლ-ს ე ნ ა კ შ ი — ბლაღოჩინს სასორდიასთან.

ზ უ გ დ ი დ შ ი—ბლაღოჩინ მიხ. მეუნარგიასთან.

ლ ე ჩ ხ უ მ შ ი (ლაილასში) —ბლაღოჩინ ილარიონ ბერსამიასთან.

ს ა ჩ ხ ე რ ე შ ი—უარამან ჩხეიძესთან —სასოფლო შკოლაში.

ბ ო რ შ ი—პავლე ბურჯანაძესთან(სასულიერო სასწავლებელში).

ყ ვ ი რ ი ლ ა შ ი—ბლაღოჩინ დავით ღამბაშიძესთან.

დაბარება შეიძლება თვითონ გამომცემლისაგან, მღ. დ. ღამბაშიძისაგან (დ. ყვირილიდამ), ამ ადრესით: Въ м. Квирилы (Кут. губ.) Священнику Давиду Гамбашидзе. ვინც ათ ეგზემპლიარზე მეტს დაიბარებს, მანეთზე ორი შაური დაეთმობა.

მოვიტანე დიდ-ძალი ფიცრები **ფიჭვისა და ნაძვის ხეებისა** კარების, ფანჯრებისა და იატაკებისათვს. სრულებით მშრალი ფიცრებია, ოთხი წლის დახერხული.

ვისაც ამ ხის მასალის შეძენა ჰსურს შეუძლიან მიმართოს არსენალის ეუჩაზე-ფულინოვის სახლებში № 31; იკითხოს უფ. ვალერიან ჩეჩუტი.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა, შეუდგა რა-მომავალის ქრისტესშობის თვეში **ქალაქის სამართველოს ამომრჩევლებთა სიების შედგენას**, საყოველთაოდ აცხადებს, რომ მომავალს ღვინობისთვის პირველ რიცხვამდინ, იქნეს შემოტანილი მცხოვრებთაგან ქალაქის სასარგებლოთ ხვედრი გარდასახადი, ყოველი გვარი გარდასახადისა, ვიდრე 1880 წლამდე, რადგან 1964 სტ. II ტ. ნაწ. I გამოც. 1876 წ. ძალით, სხვათა შორის, გ ა რ დ ა ს ა ხ ა დ ი ს გ ა რ დ უ ხ თ ე ვ ნ ე ლ ო ბ ა ც ა რ თ მ ე ვ ს მ ც ხ ო ვ რ ე ბ თ ხ მ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს.

ბამგეობის წევრი: ივ. მესხი.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	1	8	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
ბორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . . .	1	44			4	90	2	61
უვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი. . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი. . . .	9	50			12	24	6	26

ფოთი	9	3						
ახალ-სენაკი.	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი . . .	12	13			3	84	1	97
უვირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
ბორი	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილისი. .	9	31	7	6	12	24	6	26

ტელეგრაფი

ბ ო ც ი ს ი ტ ყ ვ ა თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ

	მან	კაპ.
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს,	2	—
პეტერბურღს, ვარშავს	2	—
ბესარაბიაში, შვეიცარიაში .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში.	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ბაზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისსა და ფოთისკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ბაზურგეთს—ორშ. და პარასკ.

	კაპ
წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	
ლია წიგნის	3
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	7

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი 9 აგვისტ.		
ფქვ. თეთ. ბანჯგისა ფუთ.	2	40
შქვ. წითელი . .	1	70
ქერი ფუთი . . .	1	40
ბამბა ერევნისა, ფუთი.	8	20
—ამერიკისა, ფუთ .	9	50
ბაენტილი ბამბა ფუთი.	10	70
მატყლი თუშური ფუთი.	8	40
—თრაქმისა ფუთი .	3	80
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	10
ქონი ფუთი . . .	5	60
ქონის სანთელი ფუთი.	6	80
სტეარინის სანთელი ფ.	12	—
ხორცი ძროხისა .ლიტრა	—	—
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	—
სპირტი ვედრო . . .	4	50
შაქარი ბროც. ფუთ .	7	5
—ფხვნილი ფუთი .	5	60
ყავა რგვალი გრვ. .	—	60
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი.	13	60
თამბაქო საშუალო ფთ.	6	70

თფილისის საბაჟურნალი.

ერევნ. მიდ., წინ-მძღვაროვ. სახლი.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ბ ო რ შ ა ბ ა თ ს: ლ ი ს ი ც ე ვ ი და ბარლევიჩი—შინაგ.ავათმყოფობის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ჟურავლევი—ვენერიულის, და კანისა; ბაბოევი—გულისა და შინაგ.

ბ ა თ ხ შ ა ბ ა თ ს: ლ ი ს ი ც ე ვ ი—შინაგ., ასტეა-ცატუროვი—ქალისა და ბავშვების ავათმყ.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყ. და ჟურავლევი—კანის და ვენერიულის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს იქნებიან: ლ ი ს ი ც ე ვ ი, შინაგ.; ასტეა-ცატუროვი— ვენერ. და კანის; ბაბაევი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი, შინაგ.; ჟურავლევი.—ვენერ. და კანის რეიხი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Августъ 1879 г. Типографія Меликова. ბამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.